

თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)

სხდომა №5

თბილისი

30 ოქტომბერი, 2010

ოქმი №5/2010

სხდომას ესწრებოდნენ სენატის წევრები:

თამარ ჩიტოშვილი (სამართლის ფაკულტეტი);

ეკა ზარნაძე (სამართლის ფაკულტეტი);

დავით გეფერიძე (სამართლის ფაკულტეტი);

მანანა ხვედელიძე (სამართლის ფაკულტეტი);

გია თოფურია (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);

ნოდარ სამხარაძე (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);

ამალია არუთინოვა (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);

ლამარა ჩაბაშვილი (ბიბლიოთეკარი).

მ. ღლონტი (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);

ი. ზაქარაია (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);

ტ. ზუბიაშვილი (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);

აგრეთვე

პროფესორი ვალენტინა საყვარელიძე

პროფესორი კახი ყურაშვილი

ქვორუმი: 10

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი გია თოფურია

სხდომის მდივანი: ასოცირებული პროფესორი ამალია არუთინოვა

დღის წესრიგი: თჰუ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის ვაკანტურ ადგილებზე არჩევნების დანიშვნის თაობაზე (მომხ: გ. თოფურია)

მოისმინეს: პროფესორ გ. თოფურიას ინფორმაცია, იმის თაობაზე, რომ მიმდინარე სასწავლო წელს თჰუ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი ჯანდაცვის ფაკულტეტის სრული პროფესორი თეიმურაზ თალაკვაძე გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან რექტორის 2010 წლის 2 ოქტომბრის №131/06 ბრძანებით. ასევე მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სენატის შემადგენლობაში შედიოდნენ სტუდენტები, რომლებმაც დაასრულეს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებით სწავლება და ავტომატურად შეუჩერდათ წარმომადგენლობით საბჭოს წევრობის უფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე წარმომადგენლობით საბჭოში გაჩნდა ვაკანტიები: 1 ვაკანსია ჯანდაცვის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კვოტიდან და ექვსი ვაკანსია სტუდენტთა შემადგენლიდან: 3 წევრი სამართლის ფაკულტეტიდან, 2 – ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტიდან და 1 – ჯანდაცვის ფაკულტეტიდან. მომხსენებელმა გ. თოფურიამ სხდომას სთხოვა, რომ წარმომადგენლობით საბჭოში არსებული ვაკანტური ადგილების დასკავებლად საჭიროა დაინიშნოს არჩევნები და მისი ჩატარების თარიღად გამოცხადდეს 2010 წლის 6 ნოემბერი. საარჩევნო კომისიის შემადგენლობა შესთავაზა შემდეგი შემადგენლობით: ოლღა ქავთარია, ეთერ ირემიძე, ალექსანდრე ბასილაშვილი (სტუდენტი).

აზრი გამოთქვას: პროფ. კ. ყურაშვილიმა, პროფ. ვ. საყვარელიძემ

გადაწყვიტეს:

1. გამოცხადდეს თჰუ წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნები შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:

ა) ერთი ვაკანსია – ჯანდაცვის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კვოტიდან;

ბ) ექვსი ვაკანსია – სტუდენტთა კვოტიდან (3 წევრი სამართლის ფაკულტეტიდან, 2 – ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტიდან, 1– ჯანდაცვის ფაკულტეტიდან).

2. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნები ჩატარდეს 2010 წლის 6 ნოემბერს 14 საათზე;

3. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

თავმჯდომარე:

მდივანი:



გ. თოფურია

ა. არუთინოვა